

## ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

### კურორტ შოვში ხსოვნის მემორიალის აღმართვისა და ეკლესიის მშენებლობისთვის წინასწარ შერჩეული ტერიტორიის გეოდინამიკური პირობების შესახებ

ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის 2024 წლის 25 მარტის №162 წერილობითი მომართვის (სააგენტოში რეგისტ. №3221-25/03/2024) და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალების საფუძველზე, ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური პროცესების განყოფილების უფროსმა **თორნიკე თოდუზაშვილმა** და გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების სამმართველოს I კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა **აკაკი შონიამ**, 2024 წლის აპრილის თვეში, ადგილზე გასვლით, მოახდინეს ონის მუნიციპალიტეტში, კურორტ შოვში, მემორიალის აღმართვისთვის და ეკლესიის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, არსებული საინჟინრო-გეოდინამიკური პირობების შეფასების მიზნით, რის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს (კოორდ: 391592-4729043) მდ. ბუბისწყლის ხეობის მარჯვენა, სამხრეთი ექსპოზიციის, საშუალოდ 15-20° დახრილობის მქონე ფერდობზე. ზღვის დონიდან აბსოლუტური სიმაღლე ფერდობის შუა ნაწილში 1580 მ-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ფერდობი წარმოადგენს მცირე უსახელო ხევების ლოკალურ წყალგამყოფს, რომლის სიმაღლითი გავრცელებაც თანმიმდევრულია და მკვეთრი ცვალებადობა არ გააჩნია. აღნიშნული ფერდობი ძირითადად ხასიათდება გლუვი ზედაპირით, სადაც არ შეინიშნება მკვეთრად სახეცვლილი რელიეფის ფორმები (საფეხურები, ბორცვები, ზვინულები და სხვა). ჩანართების სახით ზედაპირზე შიშვლდება ერთეული ლოდები (**სურ.1-2**).

გეომორფოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ცენტრალური კავკასიონის ქედის საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის ქვეზონას, ჰორსტ-სინკლინური სტრუქტურის ქედებით, განვითარებული ზედა იურულ და ცარცულ წყებებზე (კარბონატული ფლიში).

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების რუკის მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2004წ), საკვლევი უბანი მიეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა (ნაოჭა-შარიაჟული) სისტემის მესტია-თიანეთის ზონის შოვი-ფასანაურის ქვეზონას.

გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანი აგებულია ქვედა ცარცული ასაკის ჭიორის წყების ნალექებით (K<sub>1</sub>cr), რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია მერგელოვანი კირქვებით, მერგელებით და კარბონატული თიხაფიქლებით. ძირითადი ქანები ფერდობზე გადაფარულია მეოთხეული ასაკის, ელუვიურ-დელუვიური (edQ) გენეზისის, ცვალებადი სიმძლავრის თიხა-თიხნაროვანი გრუნტებით.



სურ.1



სურ.2

უშუალოდ ეკლესიის და მემორიალის განთავსების წინასწარ შერჩეული უბანი მდებარეობს ფერდობის ქვედა ნაწილში (391571-4728937), ზღვის დონიდან 1562 მ აბსოლუტურ ნიშნულზე და ხასიათდება სუსტად დახრილი (3-5°), პრაქტიკულად მოსწორებული ზედაპირით. ამ ადგილზე ფიქსირდება ძველი რკინა-ბეტონის ფუნდამენტი (სავარაუდოდ გასულ საუკუნეში აშენებული), რომელსაც დღემდე არ აღენიშნება რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები. საპროექტო სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს, რაიმე სახის საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების კვალი დღეისათვის არ შეინიშნება (სურ. 3-4). აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს შოვის სტიქიის დროს, მდ. ბუბისწყლის ღვარცოფულ ნაკადს, მემორიალის და ეკლესიის მშენებლობისთვის წინასწარ შერჩეულ ტერიტორიამდე არ მიუღწევია. ხეობის მარჯვენა ბორტზე, ღვარცოფული ნაკადის გავლის კვალსა და წინასწარ შერჩეულ საპროექტო სამშენებლო მოედნის ზღვის დონიდან აბსოლუტურ ნიშნულებს შორის შეფარდებითი სიმაღლე 15-17 მეტრს შეადგენს.



სურ.3



სურ.4

საპროექტო სამშენებლო მოედნიდან სამხრეთის მიმართულებით, დაახლოებით 30 მ-ში, ფიქსირდება, რელიეფის გარდატეხის ზოლი, სადაც ფერდობი მკვეთრად არის დახრილი მდ. ბუბისწყლის კალაპოტის მიმართულებით (391571-4728908). აღნიშნულ გარდატეხის უბანსა და სავარაუდო სამშენებლო მოედანს შორის სიმაღლითი სხვაობა 9 მ-ია. უბნამდე, დასავლეთიდან ფერდობს მიუყვება ძველი გზა, რომელიც თავის დროზე გაუმაგრებიათ ლოკალურად, ქვის



წყობის დამცავი კედლით (კოორდ: 391451-4728898), თუმცა იგი უკვე ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო სტანდარტებს და მშენებლობის პროცესში მისი გამოყენების შემთხვევაში, საჭირო გახდება გზის დამცავი კაპიტალური ღონისძიებების გატარება (სურ. 5-6).



სურ.5



სურ.6

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, წინასწარ შერჩეული საპროექტო სამშენებლო მოედანი (ეკლესიის და მემორიალისთვის), ვიზუალური შეფასებით, დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებშია, თუმცა მსგავსი ტიპის მშენებლობისათვის აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და გეოტექნიკური კვლევები, ნაგებობების დაფუძნების პირობების და კონსტრუქციული ელემენტების განსაზღვრის მიზნით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

**აღნიშნული კვლევები, წინასწარ შერჩეული საპროექტო უბანზე და მიმდებარედ, უნდა განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციის მიერ.**

გეოლოგიის დეპარტამენტის  
უფროსის მოადგილე

*მ. [Signature]* ოთარ ქურციკიძე

**შემსრულებლები:**  
ამავე დეპარტამენტის სტიქიური  
პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიის  
განყოფილების უფროსი

*თ. თოდუაშვილი* თორნიკე თოდუაშვილი

გეოეკოლოგიურ გართულებებზე  
რეაგირების სამმართველოს  
I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

*ა. შილა* აკაკი შონია

ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის  
საველე - ექსპედიციური სამმართველოს  
II კატეგორიის წამყვანი სპეციალისტი

*თ. [Signature]* თეიმურაზ ტბელიშვილი

**შეთანხმებულია:**  
გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი

*მ. [Signature]* მერაბ გაფრინდაშვილი